


ძველი რუკები

მოგზაურობა ადამიანის ერთ-ერთი უსაყვარლესი საქმიანობა იყო იმთავითვე და ასეა დღესაც. ახალი მიწების მონახულებისას მიღებული შთაბეჭდილებები ცოდნის გამდიდრების საუკეთესო საშუალებაა.

დღეს, როცა ხელი მიგვიწვდება კოსმოსიდან გადაღებულ დედამიწის ფოტოებზე და ჩვენი პლანეტაც თითქმის მთლიანად შესწავლილია, კიდევ უფრო საინტერესოა ძველი რუკები, რომლებზეც დედამიწა სხვადასხვაგვარადაა გამოსახული. მოდი, რამდენიმე მათგანი გავიხსენოთ.

ბაბილონური რუკა

მესოპოტამიაში აღმოჩენილი, ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე VIII-VII საუკუნეებში შექმნილი თიხის ფირფიტა მსოფლიოში ერთ-ერთ უძველეს რუკად ითვლება. ეს ბაბილონური რუკა-სქემა იმდროინდელ მსოფლიოს ასახავს. მასზე დედამიწა გარშემორტყმულია ზღვებითა და ოკეანეებით, რომლებსაც „მლაშე წყალს“ უწოდებდნენ. ზღვების გადაღმა გამოსახული სამკუთხედები, სავარაუდოდ, შორეული მიწების მთებს უნდა აღნიშნავდეს.




ბაბილონურ რუკაზე მონიშნულია სახელმწიფოები: ურარტუ (არარატი, თანამედროვე სომხეთი), ასურეთი (თანამედროვე ერაყი), ელამი (თანამედროვე ირანი) და თავად ბაბილონი. ამ ქვეყნებს შუა მიედინება მდინარე ევფრატი.

ერატოსთენეს კუნძული

ძველმა ბერძნებმა უკვე იცოდნენ, რომ დედამიწა სფეროს ფორმისაა და ამის დამამტკიცებელი არგუმენტებიც ჰქონდათ: პითაგორამ განაცხადა, რომ „ბუნებაში ყველაფერი ჰარმონიულია, ხოლო ყველაზე სრულყოფილი ფორმა სფეროა. მაშასადამე, დედამიწა მრგვალია“.

პირველი რუკა, რომელიც დედამიწის სფეროსებური ფორმის გათვალისწინებით შეიქმნა, ერატოსთენეს ეკუთვნის. იგი ჩვენს წელთაღრიცხვამდე III საუკუნეში ცხოვრობდა ქალაქ კირენაში. მიიჩნევა, რომ სწორედ ამ მეცნიერმა, რომელიც ალექსანდრიის ბიბლიოთეკას

ხელმძღვანელობდა, დაამკვიდრა ტერმინი „გეოგრაფია“. გარდა ამისა, მანვე დახაზა პირველმა მსოფლიოს რუკა მერიდიანებისა და პარალელების გამოყენებით, რომლებსაც თავად „გვერდიგვერდ გამავალ ხაზებსა“ და „შუადღემდე ხაზებს“ უწოდებდა.



ერატოსთენეს მსოფლიო ერთი კუნძულია, რომელსაც ზემოდან - ჩრდილოეთის, ქვემოდან კი ატლანტის ოკეანე ესაზღვრება. კუნძული ევროპად, ლიბიად, არაბეთად, არიანად, ინდოეთად და სკვითიად იყოფა. ინდოეთის სამხრეთით კიდევ ერთი კუნძული - ტაბროპანი, სავარაუდოდ, თანამედროვე შრი-ლანკა (ცეილონი), მდებარეობს.

ამასთან, ერატოსთენე არ უარყოფდა სხვა ნახევარსფეროში „ანტიპოდების“ შესაძლო არსებობას, თუმცა იქამდე მიღწევა შეუძლებლად მიაჩნდა, რადგან, ძველი ბერძნების აზრით, ეკვატორთან ისე ცხელოდა, რომ ყველა ცოცხალი ორგანიზმი იწვოდა, ხოლო ზღვა დუღდა, პოლუსებთან კი, პირიქით, ისე ციოდა, რომ ვერც ერთი ადამიანი ვერ გადარჩებოდა.

პტოლემეოსის რუკა

ძველი ბერძენი მეცნიერის პტოლემეოსის მიერ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 150 წლით ადრე შექმნილი მსოფლიოს რუკა მრავალი საუკუნის განმავლობაში ყველაზე მნიშვნელოვნად ითვლებოდა. ეს რუკა ერთვოდა რვატომიან ტრაქტატს „გეოგრაფიის სახელმძღვანელო“. პტოლემეოსის რუკის დედანს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ მოაღწია მისმა რამდენიმე გვიანდელმა ვარიანტმა.



პტოლემეოსის რუკაზე აზიას უზარმაზარი ტერიტორია უჭირავს - ჩრდილოეთ პოლუსიდან თითქმის ეკვატორამდეა გადაჭიმული, რის გამოც წყნარი ოკეანის ფართობი მნიშვნელოვნადაა შემცირებული. ინდოეთის მოხაზულობა მკვეთრად დამახინჯებულია. აფრიკა თანდათან გადადის terra incognita-ში, რომელსაც მთელი სამხრეთი პოლუსი უკავია. სკვითიის ჩრდილოეთით მითიური ქვეყანა ჰიპერბორეა მდებარეობს, ხოლო ამერიკისა და ავსტრალიის შესახებ არაფერია ცნობილი.

მართალია, დედამიწის გარშემოწერილობა ზუსტად ჯერ კიდევ ერატოსთენემ გამოთვალა, მაგრამ პტოლემეოსმა სხვა, მცდარი, $\frac{1}{4}$ ნაკლები ზომა გამოიყენა. სწორედ პტოლემეოსის

რუკით ცდილობდა ქრისტეფორე კოლუმბი ინდოეთამდე მიღწევას, როცა ესპანეთიდან დასავლეთით მიემართებოდა. აღსანიშნავია, რომ ამერიკის აღმოჩენის შემდეგაც კი ადამიანები კიდევ დიდხანს იყენებდნენ პტოლემეოსის რუკას.

აქ ბინადრობენ ლომები

შუა საუკუნეებში ადამიანმა უკვე დანამდვილებით იცოდა, რომ დედამიწა მრგვალია. ამასთან, შუა საუკუნეების რუკები ანუ mappa mundi ძალიან სქემატურ ნახაზებს წარმოადგენდა, რადგან იქმნებოდა არა პრაქტიკული გამოყენების მიზნით, არამედ როგორც მხოლოდ თვალსაჩინოება და ილუსტრაცია სამყაროს შესაქმნისა. მაგალითად, შეიძლება, აზოვის ზღვა მინოტავრის ლაბირინთის ან ედემის ბაღის მეზობლად აღმოჩენილიყო. აფრიკაში მანტოჰორის ურჩხულები ბინადრობდნენ, ხოლო ზღვებში ქალთევზები დაცურავდნენ, როგორც ამ ჰერეფორდულ რუკაზეა ნაჩვენები.



შუა საუკუნეების ბევრი რუკა-სქემა T და O ასოების პრინციპითაა შედგენილი. O ასო აღნიშნავს მსოფლიო ოკეანეს, რომელიც ოიკუმენას ანუ დედამიწის დასახლებულ ტერიტორიებს ესაზღვრება. ასეთი წარმოდგენა ძველი ბერძნებისგან მოდიოდა. წრის შიგნით დედამიწა სამ ნაწილად - ევროპად, აზიად და აფრიკად - იყოფა. ხმელათაშუა და ეგეოსის ზღვები, ასევე - მდინარეები ნილოსი, ევფრატი და ტიგროსი კი T ასოს ქმნიან, რომელიც ქვეყნის ნაწილებს ერთმანეთისგან გამოყოფს. ასეთი რუკის ცენტრში ყოველთვის მდებარეობდა იერუსალიმი როგორც „დედამიწის ჭიპი“. გამოუკვლეველ ტერიტორიებს terra ingognita-ს (უცნობი მიწები) ან hic sunt leones-ს („აქ ბინადრობენ ლომები“) აწერდნენ.

ანჯელინო დულჩერის პორტულანი

ანჯელინო დულჩერის, მალიორკელი კარტოგრაფის, 1339 წელს შედგენილ პორტულანოზე ამოსაკითხი წესი და ლეგენდა დაწერილია ლათინურად და ისეთ დეტალებს შეიცავს, რომლებიც არ გვხვდება სხვა, მაგალითად, გენუურ ან ვენეციურ პორტულანებზე.



ის გარკვეულწილად ასახავს ჩრდილოეთ ევროპას და ჩრდილოეთ აფრიკას. ამრიგად, პორტულანი ვითარდება ხმელთაშუა ზღვის ცენტრის ირგვლივ. პორტულანი, გარდა იმდროინდელი სავაჭრო მარშრუტებისა, მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის სახელმწიფოებზე, მათ პროვინციებსა და ქალაქებზე. იგი საინტერესო ცნობებს შეიცავს საქართველოს სამეფოს შესახებაც. თბილისის თავზე აღმართულია „ხუთჯვრიანი“ დროშა, რაც სამეფოს აღმნიშვნელი უნდა იყოს.

ფრანჩესკო და დომენიკო პიციგანების პორტულანი

ვენეციელი კარტოგრაფი ძმები ფრანჩესკო და დომენიკო პიციგანები უმთავრესად ცნობილი არიან 1367 წლით დათარიღებული პორტულანით, რომელიც ამჟამად პარმის პალატინის ბიბლიოთეკაში ინახება. ის თავისი დროის ერთ-ერთი უდიდესი პორტულანია - ზომით 138X92 სმ. ამ პორტულანმა ქართული სამეცნიერო წრეების ყურადღება 90-იან წლებიდან მიიპყრო, როდესაც ქართველი ისტორიკოსები ქართული ეროვნული დროშის საკითხით დაინტერესდნენ. აქაც, ანჯელინო დულჩერის პორტულანის მსგავსად, თბილისის თავზე (რუკაზე - Tifilis) აღმართულია „ხუთჯვრიანი“ დროშა.




პიციგანების 1367 წლის პორტულანი აღსანიშნავია იმით, რომ თანამედროვე რუკების გეოგრაფიულ საზღვრებს სცდება (ხმელთაშუა ზღვა და შავი ზღვა) და მოიცავს ატლანტის ოკეანის დიდ ნაწილს, ჩრდილოეთით - სკანდინავიის ნახევარკუნძულს და ბალტიისა და კასპიის ზღვებს.

ამერიკის რუკა

ამერიკის პირველი რუკა 1500 წელს შეადგინა ხუან დე ლა კოსამ, ქრისტეფორე კოლუმბის ექსპედიციის მონაწილემ. პერგამენტზე დახატული და მდიდრულად გაფორმებული რუკა ესპანეთის დედოფალ იზაბელასთვის საჩუქრად იყო განკუთვნილი. ამ რუკაზე ამერიკის მხოლოდ აღმოსავლეთი სანაპიროა გამოსახული, რადგან ანდებამდე პირველადმომჩენებმა ვერ მიაღწიეს.

შვიდი წლის შემდეგ გერმანელმა კარტოგრაფმა მარტინ ვალდზემიულერმა შექმნა მსოფლიოს რუკა, რომელზეც კოლუმბის მიერ აღმოჩენილ კონტინენტს პირველად ეწოდა ამერიკა. რუკა ხის 12 დაფაზე იყო დაბეჭდილი.



საინტერესოა, რომ ამერიკა და აზია ვალდზემიულერმა ერთმანეთისგან დიდი ოკეანით გამოყო, თუმცა წყნარი ოკეანის შესახებ მაშინ ჯერ კიდევ არაფერი იცოდნენ.

2003 წელს აშშ-ის კონგრესის ბიბლიოთეკამ 10 მლნ დოლარად იყიდა ამ რუკის ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი ეგზემპლარი.

პირი-რეისის ამოუცნობი რუკა

ერთ-ერთი პირველი რუკა, რომელზეც სამხრეთ ამერიკა და ანტარქტიდა იყო გამოსახული, თურქ ზღვაოსანს, ადმირალ პირი-რეისის ეკუთვნოდა. გაზელის ტყავზე დახატული რუკა 1513 წლით თარიღდება, მაგრამ მასზე უკვე მონიშნულია ის ადგილები, რომლებიც იმხანად ჯერ კიდევ უცნობი იყო.



პირი-რეისის რუკაზე გამოსახულია ევროპისა და ჩრდილოეთ აფრიკის დასავლეთი სანაპიროები და ატლანტის ოკეანის კუნძულები. სამხრეთი ამერიკა მონიშნულია საკმაოდ ზუსტად. უფრო მეტიც - ამ კონტინენტზე ანდებიც კია გამოსახული, რომლებიც იმხანად ჯერ კიდევ არ იყო აღმოჩენილი. გარდა ამისა, პირი-რეისის რუკაზე დატანილია ანტარქტიდაც, რომელიც მხოლოდ 1820 წელს აღმოაჩინეს, მაგრამ ეს არცაა გასაკვირი: ძველი დროის ბევრი კარტოგრაფი ვარაუდობდა ე.წ. „სამხრეთი მიწების“ არსებობას. თუმცა რუკაზე არ არის მონიშნული დრეიკის სრუტე, რომელიც ანტარქტიდას სამხრეთ ამერიკისგან გამოყოფს. რუკის წარწერები კი გვამცნობს, რომ ანტარქტიდის კლიმატი თბილია და იქ დიდი გველები ბინადრობენ.

მე-20 საუკუნეში, ამ რუკის აღმოჩენისას, ბევრმა ეჭვი შეიტანა მის ნამდვილობაში, ვინაიდან ასეთი სიზუსტის მიღწევა მხოლოდ აეროფოტოების, ქრონომეტრისა და სფერული ტრიგონომეტრიის საშუალებითაა შესაძლებელი, ეს ყველაფერი კი მე-16 საუკუნეში არ არსებობდა. დღემდე არაფერი ამტკიცებს რუკის არც ნამდვილობას, არც ფალსიფიკაციას.

თავად პირი-რეისი წერდა, რომ მისი შექმნისას ძველი რუკები გამოიყენა, მათ შორის - ალექსანდრიის ბიბლიოთეკის მასალები და ქრისტეფორე კოლუმბის „საიდუმლო რუკა“.

მერკატორის არქტიკა

ძველ საბერძნეთში არსებობდა ლეგენდა ჩრდილოეთით მდებარე კონტინენტის - ჰიპერბორეის შესახებ, სადაც ბედნიერი ადამიანები ცხოვრობდნენ, მუდამ მხიარულება სუფევდა და არ იყო სიკვდილი.

„აქ მზე ნახევარი წლის განმავლობაში ანათებს... მნათობი მხოლოდ ერთხელ - ზაფხულის ნაბუნობის დღეს ამოდის და მხოლოდ ერთხელ - ზამთრის ნაბუნობის დღეს ჩადის. ეს ქვეყანა სულ მზითაა განათებული და გამთბარი, ამიტომაც აქ ძალიან კარგი კლიმატია, ქარები კი საერთოდ არ ქრის...“ - წერდა პლინიუს უფროსი ჰიპერბორეის შესახებ.



მიიჩნეოდა, რომ ჰიპერბორეის შუაგულში იყო ზღვა, საიდანაც გამოედინებოდა და ოკეანეში ჩაედინებოდა ოთხი დიდი მდინარე. სწორედ ასე გამოსახა არქტიკა ფლამანდიელმა კარტოგრაფმა გერჰარდ მერკატორმა. ეს რუკა 1595 წელს, მისი სიკვდილიდან ერთი წლის შემდეგ გამოვიდა. არქტიკის გარშემო, რომელიც ჩრდილოეთ პოლუსზე მდებარეობდა, მერკატორმა საკმაოდ ზუსტად გამოსახა გრენლანდია, ისლანდია, სკანდინავია, ამერიკისა და ევრაზიის ჩრდილოეთი ნაწილები.

მრავალ მეცნიერს მიაჩნია, რომ გამორიცხული არ არის, ძველად ჩრდილოეთ პოლუსზე ნამდვილად ეარსება კონტინენტი, თუმცა ის, სავარაუდოდ, მერკატორამდე დიდი ხნით ადრე - მინიმუმ 5 ათასი წლის წინ იქნა დატბორილი.

მარის პაციფიკი

მარის პაციფიკი (Maris Pacifici) წყნარი ოკეანის პირველი ნაბეჭდი რუკაა. იგი 1589 წელს გამოიცა. მისი ავტორი კი აბრაჰამ ორტელიუსია. რუკა ფრანს ჰოგენბერგის მიერ შედგენილ ამერიკის რუკასა და ვაზ დურადოს 1568 წლის იაპონიის აღწერას ეფუძნება.



წყნარი ოკეანე რუკაზე ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ არის გადაჭიმული და სამხრეთიდან შემოსაზღვრულია ფართო სამხრეთი მიწის ტერიტორიით, რომელიც თითქმის ამერიკის სამხრეთ დაბოლოებას ებჯინება.

ავსტრალიისა და ანტარქტიდის აღმოჩენა

საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ ავსტრალიას რუკებზე ჯერ კიდევ აღმოჩენამდე გამოსახავდნენ. ანტიკური დროის გეოგრაფები აღიარებდნენ, რომ სამხრეთ ნახევარსფეროს მნიშვნელოვანი ნაწილი ხმელეთს უკავია. არცთუ იშვიათად, მას „სამხრეთის მიწას“, ლათინურად - Terra Australis, უწოდებდნენ. სწორედ ამ ჰიპოთეზის წყალობით აღმოაჩინეს ევროპელებმა ავსტრალია. ოკეანეთი პირველად მე-16 საუკუნის მეორე ნახევარში გამოიკვლიეს პორტუგალიელებმა და ესპანელებმა, ხოლო ავსტრალიის მიწას პირველად 1605 წელს ჰოლანდიელებმა დაადგეს ფეხი.



ძველ რუკებზე ანტარქტიდას, ავსტრალიის მსგავსად, „სამხრეთის მიწად“ მოიხსენიებდნენ. ზოგჯერ ის სამხრეთ ამერიკასთან იყო გაერთიანებული, როგორც პირი-რეისი რუკაზეა. ავსტრალიის აღმოჩენის შემდეგ ჰიპოთეტური ხმელეთი რუკებიდან გაქრა. მაგალითად, ჯეიმ კუკის მიერ 1776 წელს შედგენილ სამხრეთ ნახევარსფეროს რუკაზე ანტარქტიდის მაგივრად გაუვალი ყინულებია გამოსახული. ამასთან, კუკი არ უარყოფდა, რომ ამ ადგილას მიწა არსებობდა: „მე არ დავიწყებ იმის უარყოფას, რომ პოლუსთან ახლოს შესაძლოა არსებობდეს კონტინენტი ან მნიშვნელოვანი ფართობის ხმელეთი. პირიქით, მე დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი მიწა ნამდვილად არის და ჩვენ მხოლოდ მისი ნაწილის დანახვა შეგვიძლია“.

ანტარქტიდა 1820 წელს აღმოაჩინეს რუსმა ზღვაოსნებმა ფადეი ბელინსკაუზენმა და მიხაილ ლაზარევმა, ხოლო ფეხი ამ კონტინენტზე პირველად ამერიკელი გემის „სესილიას“ ეკიპაჟის წევრებმა დადგეს 1821 წელს.